Erasmus+

სტუ-ს აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის თანამშრომლის მობილობა ISA Lille უნივერსიტეტში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი ნინო ლომიძე 21-25 აპრილის ჩათვლით მონაწილეობდა ISA Lille უნივერსიტეტში (ლილი, საფრანგეთი) ERASMUS+ გაცვლითი პროგრამის KA107 პროექტის ფარგლებში გამართულ საერთაშორისო სემინარში.



კოორდინატორ უნივერსიტეტში მობილობისას, საერთაშორისო სემინარის ფარგლებში, განხორციელდა ისეთი აქტივობები, როგორიცაა:

- ✓ ფრანგული საინჟინრო სკოლისთვის სპეციფიკურ პედაგოგიკასა და მეთოდოლოგიაზე დაკვირვება და დისკუსია;
- ✓ ფრანგული შეფასების სისტემის გაცნობა და, ზოგადად, ევროპული ECTS შეფასების სისტემის შესახებ ინფორმაციის გაზიარება;
- ✓ ინოვაციური პედაგოგიკის პრეზენტაცია Junia ISA-ში: ჯგუფური მუშაობა, კონკრეტული შემთხვევის შესწავლა, პროფესიული ჩაძირვა;
- ✓ ინოვაცია სწავლებასა და სწავლაში (ლაბორატორიებისა და ობიექტების მონახულება, სწავლების ინოვაციური ტექნიკის პრეზენტაცია და სპეციფიკური ტრეინინგები სტუდენტებსა და პროფესიონალთა შორის ინოვაციების გასაძლიერებლად), ინოვაცია ინტერნაციონალიზაციისთვის;
- ✓ UCLille-ის პროექტის მდგრადი განვითარების პრეზენტაცია ნულოვანი ნახშირბადის კამპუსისთვის;
- ✓ ადგილობრივ პარტნიორებთან ურთიერთობისა და სტუდენტების ჩართულობის პრეზენტაცია;

- ✓ დისკუსია სამომავლო კვლევით თანამშრომლობაზე და ამასთან დაკავშირებით, სამუშაო შეხვედრები კოლეგებთან;

საერთაშორისო სემინარის პროგრამა, ასევე, ითვალისწინებდა სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებას.